


# უცნაური გალაქტიკები

ირაკლი მანთიძე


- 
- ▣ გალაქტიკა წარმოადგენს ვარსკვლავების, ვარსკვლავური ნარჩენების, გაზისა, მტვრის, ვარსკვლავთაშორისი სივრცისა და ბნელი მატერიის კრებულს. რიგ შემთხვევებში გალაქტიკის აქტიურ ცენტრთან ერთად გვხვდება სუპერმასიური შავი ხვრელი.

# გალაქტიკების კლასიფიკაცია

- ხილული ფორმის მიხედვით გამოყოფენ: ელიფსურ, სპირალურ და არაწესიერ გალაქტიკებს.

**How Galaxies Work**

The Hubble Classification





# Hoag's Object

ჰოაგის ობიექტი ისე გამოიყურება, თითქოს ორი დამოუკიდებელი გალაქტიკის ერთობლიობაა, სინამდვილეში ეს ობიექტი ერთი გალაქტიკაა. იგი შედგება ცენტრში მდებარე ვარსკვლავების ყვითელი კლასტერისა და ასევე ვარსკვლავებისგან შემდგარი ლურჯი რგოლისგან. რომლეთა შორის საკმაოდ დიდი სივრცეა.

ჯერ-ჯერობით მეცნიერებს არ აქვთ პასუხი, თუ როგორ მოხდა ამ გალაქტიკის წარმოქმნა.

# Arp 87

როდესაც ორი გალაქტიკა ეჯახება ერთმანეთს, წარმოიშობა ერთი დიდი ზომის გალაქტიკა.

ამ შემთხვევაში გალაქტიკები ჯერ არ დაჯახებიან ერთმანეთს. ისინი დაკავშირებული არიან ვარსკვლავებისგან შემდგარი “ძაფით”, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ მივიღებთ ერთ უფრო დიდ გალაქტიკას.

# Antennae Galaxies

ასეთი ტიპის გალაქტიკა არის შემდეგი სახე Arp 87  
გალაქტიკური წყვილისა.

მხოლოდ ყვითელი კლასტერები გვაძლევს ცნობას  
იმის შესახებ, რომ ეს გალაქტიკა ორი წინამორბედის  
შეჯახების შედეგია.

დროთა განმავლობაში გალაქტიკა გადადის  
წონასწორულ მდგომარეობაში





# Sombrero Galaxy

გალაქტიკა სომბრეროს გააჩნია  
რამდენიმე კლასტერი ვარსკვლავებისა ერთის  
ნაცვლად.

მეცნიერებს არ აქვთ პასუხი, თუ  
როგორ წარმოიშვა ასეთი ფორმის რგოლები.

არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ  
გალაქტიკის ცენტრში არის სუპერმასიური  
შავი ხვრელი.



# Centaurus A

საზოგადოდ, დიდი გალაქტიკები შეიძლება იყვნენ ელიფსური ან სპირალური ფორმის, მაგრამ “კენტავრი A”-ს შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა.

შეუიარაღებელი თვალით ჩანს, რომ იგი ელიფსურია, ხოლო რადიოტალღურმა გამოკვლევებმა დაადგინა, რომ მასში “იმალება” სპირალური ფორმა.

არსებობს მოსაზრება, რომ ეს ობიექტი წარმოქმნილია ორი შედარებით მცირე სპირალური და სფერული გალაქტიკების დაჯახების შედეგად.



# The Southern Pinwheel

მოცემული გალაქტიკა ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშაა ღამის ცაზე.

დღეისთვის დაიკვირვება 8 აქტიური ზეახალი ვარსკვლავი, ხოლო 100-მდე პოტენციური.

გალაქტიკის მოწითალო ფერის მიზეზი არის ახალი ვარსკვლავების ფორმირება.



# NGC 474

ეს გალაქტიკა იმითაა ცნობილი, რომ ასხივებს დიდ ენერგიას მისი შეხედულებისდა მიუხედავად.

არსებობს ორი მოსაზრება თუ რატომ გამოიყურება გალაქტიკა ასე უცნაურად:

პირველი:

შრეები რომელთაც ჩვენ ვხედავთ სხვა მცირე შთანთქმული გალაქტიკების ნარჩენებია.

მეორე:

მიმდინარეობს გალაქტიკების დაჯახება და ჩვენ ვხედავთ მეორე გალაქტიკის გარე შრეებს.



# NGC 660

გალაქტიკას აქვს დისკისადმი თითქმის მართობულად მბრუნავი რგოლი , რომელიც შედგება ვარსკვლავების, გაზებისა და მტვრისგან.


ასეთ გალაქტიკებს ეწოდება polar ring galaxy.

სულ რამდენიმე ათეულია აღმოჩენილი კაცობრიობის მიერ. მათი საშუალებით აკვირდებიან ბნელი მატერიის ზემოქმედების სახეს.

# The Porpoise Galaxy

მორიგი გალაქტიკური წყვილი

“დელფინი” არის გალაქტიკა NG 2936, ხოლო “კვერცხი”  
არის გალაქტიკა Arp 142.



# The Black Eye Galaxy

გალაქტიკის წითელი ნაწილი, ანუ ვარსკვლავები, რომლებიც ფორმირების პროცესში არიან და გაზი ტრიალებს გარკვეული მიმართულებით, ხოლო რაც შეეხება გალაქტიკის დარჩენილ ნაწილს, იგი ბრუნავს საწინააღმდეგო მიმართულებით.

ეს ფენომენი, როგორც სხვა მრავალი, აიხსნება ორი გალაქტიკის შეჯახებით.





THE END

